



## საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000010446158220

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 20

01 / ივლისი / 2020 წ.

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ვეძებში მდებარე 15087კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის სანციის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე- 4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანციის საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანციის საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული **სოფ.ვეძებში მდებარე 15087კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას**, (საკადასტრო კოდი 50.13.31.200)
  - სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის სანციის საფასური, სანციის საპრივატიზებო საფასურის 5%-ით-575.0 (ხუთას სამოცდახუთმეტი) ლარის ოდენობით;
  - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10(ათი) წელი.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში ( ქ.თელავი, რუსთაველის ქ. N41)

